



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/61

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფრანგულენოვანი მოდულის სასწავლო კურსების წამყვანი მასწავლებლის ნინო გორგაძის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 აპრილის №751 განკარგულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და ამავე წესდების მე-11 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 13 დეკემბრის №01-05-04/199 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 დეკემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის „სასურსათო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფრანგულენოვანი მოდულის სასწავლო კურსების წამყვანი მოწვეული მასწავლებლის ნინო გორგაძის ანაზღაურება 2021-2022 სასწავლო წლისათვის განისაზღვროს საათში 45 ლარით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბუკიძე